

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის
სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის,
სხალთის მთავარეპისკოპოსის სპირიდონის მიერ
2023 წლის 6 მარტის № 01-03/2 ბრძანებით

**ა(ა) იპ საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტში
სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები**

1. ა(ა) იპ „საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის“ (შემდგომში-უნივერსიტეტი) სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა და უნივერსიტეტში დასაქმებული ადამიანური რესურსისათვის პირველადი ჯანმრთელობის დაცვის/სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მიზნით:
 - ა) იქმნება პირველადი ჯანმრთელობის დაცვის/სამედიცინო დახმარების აღმოჩენის სივრცე, სადაც შესაძლებელია სტუდენტებისა და უნივერსიტეტში დასაქმებულთათვის პირველადი ჯანმრთელობის დაცვის/პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა, სამედიცინო სივრცეში მატერიალურ ფასეულობებზე პასუხისმგებელია ექთანი;
 - ბ) შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე სრული სამუშაო განრიგით პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის სივრცეში ბინეტში მუშაობს ექთანი.
2. პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის სივრცეში/ოთახში განთავსებულია პირველადი დახმარებისათვის საჭირო მედიკამენტები, სივრცე მოწყობილია ისე, რომ ექთანმა შეძლოს ავადმყოფის მიღება.
3. უნივერსიტეტი ვალდებულია ექთანის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, უზრუნველყოს პირველადი სამედიცინო სივრცის/ოთახის შესაბამისი პირველადი დახმარებისთვის საჭირო მედიკამენტებითა და პირადი ჰიგიენის ნივთების მიწოდება.
4. ექთანი ვალდებულია აწარმოოს პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის სარეგისტრაციო ჟურნალი და წელიწადში ერთხელ მაინც უნივერსიტეტის რექტორს წარუდგინოს ანგარიში გაწეული საქმიანობის შესახებ.
5. სტუდენტები და უნივერსიტეტში დასაქმებული პირები ინფორმირებულნი არიან პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის სივრცის მუშაობის განრიგზე.

პირველადი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით პირველადი გასინჯვის საფუძველზე ექთანი უფლებამოსილია:

ა) თავად აღმოუჩინოს პირველადი სამედიცინო დახმარება;

ბ) აუცილებლობის შემთხვევაში გამოიძახოს გადაუდებელი სამედიცინო დახმარება.

6. ექთანი პაციენტი წელიწადში ერთხელ (უპირატესად სასწავლო წლის დასაწყისში) ატარებს უნივერსიტეტში პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის საინფორმაციო-სასწავლო მეცადინეობას სტუდენტებისათვის, ყველა ფაკულტეტზე.
7. ექთანი ვალდებულია აწარმოოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტების რეგისტრაცია (ასეტის არსებობის შემთხვევაში) შეისწავლოს მათი სამედიცინო ისტორია, უზრუნველყოს მათთვის პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენისათვის საჭირო მედიკამენტების შესყიდვის მოთხოვნა, პერიოდულად გააკონტროლოს სწავლის პროცესში ამ კატეგორიის სტუდენტების ადაპტირების პროცესი.
8. ექთანი უფლებამოსილია განახორციელოს მონიტორინგი უნივერსიტეტის სველი წერტილებისა და სასადილოს ჰიგიენურ მდგომარეობაზე, კომპეტენტურ პირებთან ერთად, აგრეთვე, უნივერსიტეტის შენობისა და ეზოს დასუფთავებაზე, შეიმუშაოს წინადადებები და წარუდგინოს რექტორს.